ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N1

07.12.2021 წელი
13:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თერთმეტი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **აკაკი ალადაშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრობის კანდიდატები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ *(საფუძველი წერილი N12-032134034-03; 06.12.2021) ;*

სხდომა წარიმართა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, განათლებისა და კულტურის, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, გარემოს დაცვის, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

გაერთიანებული კომისიების სხდომას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრობის კანდიდატები იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

ლევან ჟორჟოლიანი - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები საკრებულოსთვის კარგად ნაცნობი ადამიანები გახლავთ, ვისთანაც ნაყოფიერი და საინტერესო თანამშრომლობა გვაკავშირებს. მინდა ბატონ **ირაკლი ხმალაძეს** ვთხოვო სიტყვა და შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში განვაგრძოთ სხდომა.

ირაკლი ხმალაძე - მოგესალმებით, თავს უფლებას მივცემ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა გადაგიხადოთ. დიდი პატივი იყო თქვენთან ერთად დედაქალაქის სამსახურში დაუღალავად მუშაობა ოთხი წლის განმავლობაში. აქ წარმოდგენილი ადამიანები ვაპირებთ კიდევ უფრო მეტი ენერგიით და შემართებით, მეტი საქმე გავაკეთოთ ქალაქის საკეთილდღეოდ. ჩვენი ვინაობა და ბიოგრაფია თქვენთვის ნაცნობია, რადგან წლების მანძილზე ერთად გამოვიარეთ ყველა სირთულე და გამოწვევა, რაც ამავდროულად დიდი გამოცდილება იყო ჩვენთვის. ვფიქრობთ, თქვენი დახმარებით კიდევ უფრო მეტი საქმის გაკეთებას შევძლებთ ჩვენი ქალაქისთვის. გვაქვს საკრებულოს მხარდაჭერის იმედი. ვისაუბრებთ 4 წლიან სამოქმედო გეგმაზე და კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ მზაობას აქტიური თანამშრომლობისთვის. ჩვენ არ გავურბივართ პრობლემებზე საუბარს, პირიქით, ვმუშაობთ მათ მოსაგვარებლად და სწორედ ჩვენი 4 წლიანი გეგმაა ამის ნათელი მაგალითი, რომელიც საზოგადოებას დეტალურად გავაცანით და ვეცდებით არსებული გამოწვევების მინიმალიზაციას. მოგეხსენებათ პანდემიის გამო არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი შეჩერდა და თანხები მობილიზდა ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებებით, რათა მოსახლეობისთვის აუცილებელი პირობები შეგვექმნა. მზად ვარ კოლეგებთან ერთად ყველა დასმულ კითხვას გავცეთ პასუხი. ჩვენი პროგრამის ფარგლებში დედაქალაქში მოეწყობა და განახლდება 15 ახალი პარკი; განხორციელდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა; დაინერგება ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვის პროგრამა; იგეგმება ტყის აღდგენის და გამწვანების მასშტაბური პროექტები; რეაბილიტაცია ჩაუტარდება ძველ თბილისს, გორგასლის ბულვარს, ნარიყალას ციხეს, ბარათაშვილის გალავანს, სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩებს; განახლდება საგზაო ინფრასტრუქტურა; დაინერგება ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემა (ITS); დედაქალაქს შეემატება 380 ერთეული ახალი ავტობუსი; განახლდება მიკროავტობუსების პარკი; 40 ახალი ვაგონი დაემატება თბილისის მეტროპოლიტენს მომდევნო 2 წლის განმავლობაში; იგეგმება ტაქსების რეფორმის მესამე ტალღა; განახლდება მეტროს სადგურები; მოეწყობა 2 ახალი საბაგირო დერეფანი; დედაქალაქს დამატებით 315 კილომეტრამდე ველობილიკი შეემატება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შეიკრას ერთიანი ქსელი ველოტრანსპორტით გადაადგილებისთვის; 2022 წლიდან ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ პროგრამებს დაემატება კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა; **ასევე იგეგმება ისეთი პროგრამების განხორციელება, როგორიცაა სპორტი ახალგაზრდა და უფროსი თაობისთვის, თბილისის სასკოლო და საუნივერსიტეტო ლიგა; გრძელდება 10 მულტიფუნქციური ცენტრის პროექტი და მომდევნო 4 წლის განმავლობაში განხორციელდება დამატებით 8 ცენტრის მშენებლობა.** მომდევნო ოთხი წლის მანძილზე იგეგმება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამის და პროექტის განხორციელება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, კითხვები დაისვა ურბანული პოლიტიკის, სამშენებლო ნებართვის გაცემის, სატრანსპორტო პოლიტიკის, დაუსრულებელ მშენებლობების, ავარიული სახლების, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტების, კულტურის, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, სოციალური, **სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების მიმართულებით.**

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი წარმოდგენილი კანდიდატების საქმიანობა, მერიის სამსახურებში დასაქმებულ ასობით თანამშრომელთან ერთად მათ ძალიან დიდი სამუშაო გასწიეს ოთხი წლის განმავლობაში დედაქალაქის საკეთილდღეოდ, რომ თბილისი დღეს ბევრად უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო. რაც შეეხება კონკრეტულად სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებას კარგად ვიცი ის სამუშაო, რაც ბატონი ანდრია ბასილაიას და ბატონი ირაკლი გვილავას ხელმძღვანელობით გაკეთდა. ამ ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც საჭიროებს კიდევ მეტ ჩართულობას, პირველ რიგში ინფრასტრუქტურული პროექტები, მულტიფუნქციური ცენტრები, რომელთა მშენებლობა ვარკეთილში და დიდ დიღომში მიმდინარეობს. იგეგმება, თუ არა მესამე მულტიფუნქციური ცენტრის პროექტის განხორციელება 2022 წელს და რომელ ლოკაციაზე? გასული წლების განმავლობაში თბილისს შეემატა სამი ახალი სპორტული ცენტრი, ხუთასზე მეტი სტადიონი, შვიდ სპორტულ ცენტრს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ამ მხრივ წინა საარჩევნო დაპირება ზედმიწევნით სრულდება. მეორე საკითხია, ჩვენი თანატოლებისთვის ახალგაზრდული ღონისძიებების და პროექტების განხორციელებაში დახმარება, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშემწყობი პროგრამა იზრდება ნახევარი მილიონი ლარით, ეს ნიშნავს, რომ მეტი ახალგაზრდა ისარგებლებს და შეძლებს საკუთარი ინოვაციური იდეის, პროექტის და ინიციატივის დაფინანსებას, რაც უფრო მეტ აქტივობას შეუწყობს ხელს. მაინტერესებს ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით რა იგეგმება ახალგაზრდული სივრცეების მიმართულებით, რა თქმა უნდა მულტიფუნქციურ ცენტრებს აქვთ ახალგაზრდული ელემენტი, თუმცა სრულად ახალგაზრდული სივრცე, როგორიც უნდა იყოს კოჯრის ახალგაზრდული სოფელი, რომლის კონცეფცია უპრეცედენტოა ჩვენი რეგიონისთვის, ეს პროექტი როდის განხორციელდება და საინტერესოა, თუ იგეგმება კერძო სექტორის ჩართულობა აღნიშნული მიმართულებით? გისურვებთ წარმატებებს!

ანდრია ბასილაია - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ჩვენი საარჩევნო დაპირების ნაწილია თბილისის ათივე რაიონში შეიქმნას მულტიფუნქციური სივრცე, აღნიშნული გახლავთ იმის გარანტი, რომ ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ წვდომა შესაბამის სპორტულ, შემეცნებით, ახალგაზრდულ და კულტურულ სერვისებზე რაიონიდან გაუსვლელად. სამწუხაროდ, სამგორის რაიონში მოხდა ტენდერის ხელახალი გამოცხადების პრეცედენტი, რის გამოც ობიექტი დასრულდება 2022 წლის ბოლოს, ხოლო დიდ დიღომში მშენებლობა დასრულდება 2020 წლის მარტში. ასევე აქტიურად ვმუშაობთ მესამე ლოკაციის შერჩევაზე. ვგეგმავთ ასათიანის ქუჩაზე და დიდ ლილოში მცირე ზომის სპორტული ცენტრების მოწყობას, რომელიც უახლოეს პერიოდში შეემატება თბილისს. რაც შეეხება ახალგაზრდობის მიმართულებას, კოჯრის ახალგაზრდული სოფელი მართლაც უპრეცედენტო პროექტია, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ ,,ფონდ ქართუ''-სთან ერთად, მომავალ წელს იგეგმება აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდგომ უკვე დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. ახალგაზრდულ სივრცეებთან დაკავშირებით კი, მოგახსენებთ, რომ რაიონებში იგეგმება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების რეაბილიტაცია და ეს განახლებული სივრცე გააჩენს მეტ ახალ შესაძლებლობას მომავალი თაობებისთვის, კონკრეტულ რაიონებში. ჩვენი დაპირების ნაწილი გახლავთ ასევე 15 მასშტაბური პარკის მშენებლობა,

რომლებზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს, სადაც ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა თემატური სივრცის მოწყობა სპორტული და ახალგაზრდული ელემენტების გამოყენებით.

თბილისის მერის მოადგილეობის კანდიდატებმა ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ *(საფუძველი წერილი N12-032134034-03; 06.12.2021)*

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, აკაკი ალადაშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - **(5),**

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე **ირაკლი ხმალაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების თანამდებობებზე **ილია ელოშვილის, ანდრია ბასილაიას, ირაკლი ბენდელიანის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე **ვლადიმერ ჭიღლაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ვახტანგ ლომჯარიას,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გიგა გიგაშვილის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გელა ჩივიაშვილის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ირაკლი გვილავას,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **სერგო ბირკაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გაიოზ თალაკვაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ნიკოლოზ ჭონქაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გიორგი აბუთიძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გიორგი პაპავას,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე **კახაბერ გულედანის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **დავით კირკიტაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ბექა მიქაუტაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ლევან ნაროუშვილის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **ირაკლი ანდღულაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **დავით კვინიკაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **გაიოზ ვასაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ვლადიმერ ძნელაძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **დავით უთმელიძის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **ნიკა ელისაშვილის** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **კახა სამხარაძის** დანიშვნის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **გიორგი ჩაკვეტაძე**